



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის

განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ერთიანი პორტალის მართვისა და მოხმარების პოლიტიკის განსაზღვრის შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიზანია აამაღლოს სამთავრობო დაწესებულებების ეფექტიანობა და გააძლიეროს მოქალაქეებთან ინტერაქცია რაც ხელს შეუწყობს მათ ინფორმირებულობას და ჩართულობას მთავრობის საქმიანობის პროცესებში.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ერთიანი პორტალის დანერგვით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა შექმნის მოქალაქეებთან კომუნიკაციისა და საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნების სტანდარტულ მექანიზმს რაც ხელშეუწყობს მოქალაქეების ინფორმირებულობას და ჩართულობას მთავრობის საქმიანობაში.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი პორტალის სისტემაში ჩართული არიან შემდეგი უწყებები:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატი;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის; სამინისტრო;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების კულტურისა და სპორტის სამინისტრო;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო სამმართველო;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დამდგენი კომისია.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა განსაზღვრავს და ადგენს ერთიანი პორტალის როგორც ინფორმაციის გამოქვეყნების ერთიანი სამთავრობო მექანიზმის, მოხმარებისა და ადმინისტრირების წესს:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი პორტალის ინფრასტრუქტურის გამართულ მუშაობაზე, უსაფრთხოების დაცვაზე, სარეზერვოს ასლების შენახვაზე, ბაზების ადმინისტრირებაზე, კოდების და დიზაინის დაცვაზე სრულად პასუხისმგებელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის კომპიუტერული უზრუნველყოფის განყოფილება.



2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ერთიანი პორტალის მთავარი გვერდის მართვა ხორციელდება ცენტრალურად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტისა და მთავრობის აპარატის კომპიუტერული უზრუნველყოფის განყოფილების მიერ.
3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ერთიანი პორტალის მთავარი გვერდის შინაარსის შევსებაზე და ინფორმაციის სწორად განთავსებაზე პასუხისმგებელია აჭარის მთავრობის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი.
4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ერთიანი პორტალის მთავარი გვერდის ტექნიკურ უზრუნველყოფაზე, მენიუების შექმნაზე და ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელია აჭარის მთავრობის აპარატის კომპიუტერული უზრუნველყოფის განყოფილება.
5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ერთიანი პორტალის შიდა გვერდების მართვაზე პასუხისმგებელია თოთოეული უწყების საზოგადოებასთან ურთიერთობის და IT დეპარტამენტები/სამსახურები დამოუკიდებლად. საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი/სამსახური პასუხისმგებელია შესაბამის შიდა გვერდზე ინფორმაციის ატვირთვაზე და გამოქვეყნებაზე ხოლო IT დეპარტამენტი/სამსახური შიდა გვერდის ტექნიკურ უზრუნველყოფაზე, მენიუების და ქვე მენიუების დამატებაზე ასევე წლების მიხედვით არქივების შექმნაზე.
6. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დამდგენი კომისიის გვერდის მართვასა და ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო. პრიორიტეტების კომისიის გვერდის გვერდის მართვა ხორციელდება ამ განკარგულების მე-4 პუნქტში აღწერილი პროცედურის მიხედვით.
7. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ერთიანი პორტალის სისტემის მოხმარებისა, ადმინისტრირების წესებისა და პროცედურების დაცვის/ სტანდარტიზების მიზნით ამტკიცებს შემდეგ სახელმძღვანელოებს
 - GoARA Citizens Portal Administration and Maintenance Manual_ENG (ინგლისური ვერსია)
 - GoARA Citizens Portal Administration and Maintenance Manual_ GEO(ქართული ვერსია)
 - GoARA Citizens Portal Policy Document_ENG (ინგლისური ვერსია)
 - GoARA Citizens Portal Policy Document_GEO (ქართული ვერსია)
 - Guide for Citizens_ENG (ინგლისური ვერსია)
 - Guide for Citizens_GEO (ქართული ვერსია)
8. ერთიანი ვებ პორტალის მოხმარების და ადმინისტრირების პროცედურები გაწერილია ზემოხსენებულ სახელმძღვანელოებში. სისტემის მოხმარებისა და ადმინისტრირების სახელმძღვანელოები წარმოადგენს ძირითად სამოქმედო დოკუმენტს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი პორტალის მომხმარებლისა და ადმინისტრირებისთვის.
9. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი პორტალის სისტემაში ჩართული ყველა უწყების საზოგადოებასთან ურთიერთობის და IT თანამშრომელი ვალდებულია იხელმძღვანელოს ზემოხსენებული სახელმძღვანელოებით.



10. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი პორტალის სისტემაში ნებისმიერი ცვლილების შეტანა, მათ შორის: ახალი ორგანიზაციის დამატება, ელექტრონული სერვისის დამატება, ახალი ფუნქციის დამატება - ხორციელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის კომპიუტერული უზრუნველყოფის განყოფილებასთან და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტთან უშუალო კოორდინაციით.
11. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ერთიანი პორტალზე საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება ხორციელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შესაბამისი დადგენილების საფუძველზე.
12. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ერთიანი პორტალის შიდა გვედრებზე საჯარო ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებისთვის ინფორმაციის მომზადებაზე პასუხისმგებელია თითოეული უწყების იურიდიული სამსახური და საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი.
13. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ერთიანი პორტალის შიდა გვედრებზე პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის განთავსებას ტექნიკურად უზრუნველყოფს თითოეული უწყების IT სამსახური.
14. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ერთიანი პორტალზე საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების კოორდინაციაზე პასუხისმგებელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის იურიდიული დეპარტამენტი.
15. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი პორტალის საშუალებით საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად გამოთხოვისა და მიწოდების წესს და პროცედურებს ადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა შესაბამისი ნორმატიული აქტის გამოცემით. ნორმატიული აქტის პროექტის მომზადებაზე პასუხისმგებელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის იურიდიული დეპარტამენტი.
16. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი პორტალის ინგლისურენოვანი გვერდის ადმინისტრირებას ახდენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი და მთავრობის აპარატის კომპიუტერული უზრუნველყოფის განყოფილება. ინგლისურენოვან გვერდზე გასათვსებელი ინფორმაციის შინაარსის მომზადებას კოორდინაციას უწევს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი. ინგლისურენოვანი გვერდის ტექნიკური უზრუნველყოფა ხორციელდება მთავრობის აპარატის კომპიუტერული უზრუნველყოფის განყოფილების მიერ.
17. ერთიანი პორტალის ფუნქციონირების და საჯარო ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი მეთოდებით გამოქვეყნების მონიტორინგი დაევალოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატს, რომელიც ერთიანი ანგარიშს წარუდგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას.